სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

23 აგვისტო 2024

N 21/9049

შპს „კასლეთი 1“-ს
ელ. ფოსტა: david.mirtskhulava@gmail.com

ასლი: გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7780 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო დერეფანში მდინარეთა ეგხ-ით გადაკვეთების უბნების უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი ჰიდრავლიკური გაანგარიშებები;
- საპროექტო საკაბელო ეგხ-ს მთლიანი 10113 $მ^2$ ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 3910 $მ^2$ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, კერძოდ, ხაიშის სატყეო უბნის ხაიშის სატყეოს (კვარტალი №23; 24; 39). სახელმწიფო ტყეში მდებარე 3910 $მ^2$ ფართობი ნაწილობრივ ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ შემდეგ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 42.16.42.045; 42.16.42.684; 42.16.42.683; 42.16.42.037; 42.16.42.039; 42.16.42.040; 42.16.42.042; 42.16.42.044; 42.16.42.043; 42.16.42.047 და 42.16.42.955). სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებიდან 42.16.42.684; 42.16.42.683; 42.16.42.037; 42.16.42.039; 42.16.42.040; 42.16.42.042; 42.16.42.044; 42.16.42.043; და 42.16.42.047 საკადასტრო ერთეულებზე გაცემულია ტყითსარგებლობის უფლება (მოსარგებლე შპს „კასლეთი 2“, სარგებლობის ვადა 49 წელი). სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
- წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზი კვეთს შპს „კასლეთი 2“-ის ჰიდროელექტროსადგურის (9,13 მგვტ დადგმული სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესი) მშენებლობაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-970; №2-944) გათვალისწინებულ ტერიტორიასა და

ინფრასტრუქტურის ნაწილს. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის შპს „კასლეთი 2“-თან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;

- დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ეგხ-ის განთავსება მოხდება საავტომობილო გზის პარალელურად, სადაც კერძო მიწის ნაკვეთები წარმოდგენილი არ არის, თუმცა, shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზი კვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს (ს/კ: 42.16.43.761; 42.16.43.696; 42.16.43.059). შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ხაზობრივი ნაგებობის დერეფანში არსებულ მესაკუთრეებთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტის თანახმად, ვინაიდან, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია ჰიდროელექტროსადგურ „კასლეთი 1“-ის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ელექტროსისტემაში ჩართვის მიზნით ეგხ-ის მოწყობა და ექსპლუატაცია, რომელიც მიერთდება სოფ. ხაიშის ტერიტორიაზე მდებარე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ქვესადგურ „ხაიში 35/10“-ის კომპაქტურ გამანაწილებელ მოწყობილობასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ შეთანხმების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/9049-21-2-202408231108